მათემატიკის პირველი საერთაშორისო ონლაინ ტურნირი 2021

2021 წლის მათემატიკის პირველ საერთაშორისო ონლაინ ტურნირში მონაწილეობა შეუძლია ყველა ასაკის და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მყოფ ადამიანს.

მათემატიკის ზოგჯერ ჰერმეტული და ფორმალური მხარე ამ ტურნირში შეცვლილია მისი ინტუიციური და სახალისო ვარიანტით.

ყველაზე რთული ამოცანების ამოხსნისათვისაც კი მათემატიკური ფორმულების ცოდნა ნაკლებად არის საჭირო.

ცოტაოდენი ლოგიკა და ზოგადი განათლება უფრო გამოგადგებათ ვიდრე რთული მეთოდების გამოყენება. ხშირად ხდება ხოლმე რომ ახალგაზრდა მონაწილე უფრო მარტივ საშუალებას მიაგნებს ამოცანის ამოსახსნელად ვიდრე მისი მათემატიკის მასწავლებელი.

1. მონაწილეთა კატეგორიები

ყვილა მონაწილე ასაკის მიხედვით დაყოფილია 7 კატეგორიად :

კატეგორიები	**მონაწილეები**
A	დაბადებული 2012 წლის 1 აგვისტოდან 2013 წლის 31 ივლისამდე
B	დაბადებული 2010 წლის 1 აგვისტოდან 2012 წლის 31 ივლისამდე
C	დაბადებული 2008 წლის 1 აგვისტოდან 2010 წლის 31 ივლისამდე
D	დაბადებული 2006 წლის 1 აგვისტოდან 2008 წლის 31 ივლისამდე
E	დაბადებული 2003 წლის 1 აგვისტოდან 2006 წლის 31 ივლისამდე
F	ნებისმიერი ასაკის დაინტერესებული ადამიანი
G	პროფესიონალებისათვის გათვალისწინებული კატეგორია

2. ტურნირის მიმდინარეობა

ყველა კატოგორიის მონაწილესათვის მოსაწვდომი იქნება 18 ამოცანის იგივე კრებული. ამოცანები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, პოლონური, რუსული, არაბული და ქართული). დარეგისტრირების დროს უნდა მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ენა.
ამოცანების ნახვა შეგეძლებათ შაბათს, 2021 წლის 28 აგვისტოს, 14 საათზე (თბილისის დროით 16 საათზე), pdf ფორმატში www.fsjm.ch საიტზე. შეგიძლიათ მათი ამობეჭდვა ან ეკრანზე მათი ხილვა.

ამოცანების ამოხსნისათვის განკუთვნილი დრო და მათი რაოდენობა დამოკიდებულია მონაწილის კატეგორიაზე.

კატეგორიები	ამოსახსნელი ამოცანები	განკუთვნილი დრო
A	პირველიდან მეხუთე ამოცანის ჩათვლით	60 წუთი
B	პირველიდან მერვე ამოცანის ჩათვლით	90 წუთი
C	პირველიდან მეთერთმეტე ამოცანის ჩათვლით	120 წუთი
D	პირველიდან მეთოთხმეტე ამოცანის ჩათვლით	180 წუთი
E და F	პირველიდან მეთექვსმეტე ამოცანის ჩათვლით	180 წუთი
G	პირველიდან მეთვრამეტე ამოცანის ჩათვლით	180 წუთი

ამოცანების ამოხსნისას აკრძალულია კალკულატორის, ტელეფონის, ელექტრონული საათის, ინფორმატიკული პროგრამის ან სხვა სახის დამხმარე საშუალების გამოყენება. დაშვებულია ქაღალდის ფურცელი, ფანქრები, მაკრატელი, წებო, სახაზავი, სამკუთხედი სახაზავი, ტრანსპორტირი (საკუთხარი) და ფარგალი.

ამოცანების ამოხსნის დამთავრებისთანავე შეიყვანეთ პასუხები ამისათვის განკუთვნილ www.fsjm.ch საიტზე მდებარე პასუხების ფურცელში და დააჭირეთ შენახვის ღილაკს რომ პასუხები და მათი შეყვანის დრო დაფიქსირდეს. ამოცანების ამოხსნისათვის დახარჯული დრო საბოლოო კლასიფიკაციის ერთ-ერთი კრიტერიუმია.

მეცხრე ამოცანიდან დაწყებული, ამოცანებს შესაძლოა რამოდენიმე პასუხი ჰქონდეთ. ამ შემთხვევაში თქვენ უნდა იპოვოთ ამოცანის პასუხების ზუსტი რაოდენობა და მათგან ორი პასუხი მიუთითოთ. პასუხების ფურცელზე, მეცხრე ამოცანიდან დაწყებული, პასუხებისთვის ორი ადგილია განკუთვნილი მაშინაც კი თუ ამ კონკრეტულ ამოცანას მხოლოდ ერთი ან არცერთი პასუხი არ გააჩნია!

3. პასუხების შესწორების პრინციპი

სკოლის ან სხვა მათემატიკური კონკურსებისაგან განსხვავებით, ამ ტურნირში არ მოითხოვება ამოცანის ამოხსნის მეთოდის მითითება.

მხოლოდ და მხოლოდ ამოცანაში დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხი იქნება გათვალისწინებული. მაგალითად :

- თუ პასუხი უნდა იყოს მოცემული სანტიმეტრებში, მილიმეტრებში მოცემული სწორი პასუხი განისაზღვრება როგორც არასწორი,
- თუ პასუხი უნდა იყოს მოცემული უკვეცი წილადის სახით, 42/63 იქნება განსაზღვრული როგორც არასწორი პასუხი,
- თუ ამოცანის კითხვა ითვალისწინებს მართკუთხედის სიგრძის და სიგანის მითითებას, მისი ფართობის ან პერიმეტრის მითითება განსაზღვრული იქნება როგორც არასწორი პასუხი.

გასწორების დროს ყოველი ამოცანის პასუხი განისაზღვრება როგორს **სწორი** ან **არასწორი** და მისი ამოხსნისათვის მიიღებთ 1 ან 0 ქულას. მეცხრე ამოცანიდან დაწყებული, იმისათვის რომ მისი ამოხსნისათვის 1 ქულა მიიღოთ, მისი პასუხების ზუსტი რაოდენობა და მათგან ორი სწორი პასუხი უნდა მიუთითოთ.

ქულების გარდა, ყოველ ამოცანას მიენიჭება კოეფიციენტების რაოდენობაც რომელიც ამ ამოცანის ნომერს შეესაბამება შემდეგი წესების მიხედვით :

- ზუსტად და სრულად ამოხსნილ ამოცანას მიენიჭება რიცხვთა წყვილი (1; p) სადაც პირველი რიცხვი ქულების რაოდენობას და მეორე კოეფიციენტს შეესაბამება
- ზუსტად მაგრამ ნაწილობრივ ამოხსნილ ამოცანას მიენიჭება რიცხვთა წყვილი (0; q) სადაც q არის p - ს წილადი
- არასწორი პასუხის მითითებისას ამოცანას მიენიჭება რიცხვთა წყვილი (0; 0)

ამრიგად ყოველი მონაწილე მიიღებს ორ შედეგს : ქულების ჯამს და კოეფიციენტების ჯამს.

თქვენი კატეგორიის ფარგლებს გარეთ ამოცანების ამოხსნა არანაირ ქულას არ მოგიტანთ ამიტომ თუ A კატეგორიაში მონაწილეობთ დროს ნუ დაკარგავთ მე 13ე ამოცანის ამოხსნაზე ან თუ F კატეგორიაში მონაწილეობთ, მე 18ე ამოცანის ამოხსნა არანაირ ქულას არ მოგიტანთ.

4. რეიტინგი

ყოველი კატეგორიის მონაწილეთა რეიტინგი შემდეგი კრიტერიუმებით დადგინდება :

- სწორად ამოხსნილი ამოცანებისთვის მიღებული ქულების რაოდენობა,
- ამ ქულების თანაბრობის შემთხვევაში, კოეფიციენტების რაოდენობა,
- ქულების და კოეფიციენტების თანაბრობის_შევთხვევაში, ამოცანების პასუხების დარეგისტრიტების დრო,
- სამივე ზემოთაღნიშნული კრიტერიუმის თანაბრობის შევთხვევაში, მონაწილის ასაკი (უფრო ახალგაზრდა მონაწილე იმარჯვებს),
- ოთხივე ზემოთაღნიშნული კრიტერიუმის თანაბრობის შევთხვევაში, წილის ყრა.

5. შედეგების გამოცხადება

შედეგების გამოცხადების ცერემონიალი ონლაინ რეჟიმში 28 აგვისტოს დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე შედგება. ეს დრო დამოკიდებული იქნება მონაწილეთა საერთო რიცხვზე.

დადგინდება ყოველ კატეგორიაში მონაწილეთა რეიტინგი და აგრეთვე მონაწილე ქვეყნების კრეიტინგი. ქვეყნების რეიტინგი გაითვალისწინებს ამ ქვეყნიდან მონაწილეთა შედეგებს და განსაკუთრებით მონაწილეთა რიცხვს.

ყოველი კატეგორიის გამარჯვებულებს გადაეცემათ დიპლომები.